

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის, 7 აპრილის, №9 ბრძანების შესაბამისად;
2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა არის სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდზე განთავსებული სახელმწიფო შესყიდვების პორტალი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებას ელექტრონული ტენდერის ან გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით ღია, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიან გარემოში;
3. ტენდერის გამოცხადებისთანავე შეგიძლიათ გაეცნოთ სატენდერო განცხადებას და სატენდერო დოკუმენტაციას.
4. იმისათვის რომ ტენდერში მიიღოთ მონაწილეობა აუცილებელია „მიმწოდებლის სტატუსით“ იყოთ დარეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში;
5. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის აუცილებელია ფანჯარაში „შეთავაზებები“ გაეცნოთ და დაეთანხმოთ აფიდავიტს (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით). აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა იხ. დანართი # 1;
6. აფიდავიტის შინაარსის გაცნობის და დათანხმების შემდეგ უნდა წარადგინოთ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 %-ის ოდენობით და გადაიხადოთ სატენდერო წინადადების საფასური – 50 ლარი;
7. ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს:
 - 7.1 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – არანაკლებ 120 კალენდარული დღით „გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 2-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით (წინადადების მიღება დაწყებულია) გათვალისწინებული ეტაპიდან;
 - 7.2 ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – არანაკლებ 160 კალენდარული დღით „გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 2-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით (წინადადების მიღება დაწყებულია) გათვალისწინებული ეტაპიდან;
8. საფასურის გადახდა და ელექტრონული გარანტიის წარდგენა ხორციელდება ელექტრონულად, სისტემის მეშვეობით ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვამდე. ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალების გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული

გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე, კერძოდ, ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვამდე ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველს;

9. ზემოაღნიშნული მოქმედებების შემდეგ თქვენ სისტემაში უნდა ატვირთოთ ტექნიკური დოკუმენტაცია.

10. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და დოკუმენტაციით, გარდა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

11. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ წარადგინეთ სატენდერო წინადადების ფასი ყველა გადასახადის გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას ან უნდა იყოს შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე სულ მცირე ერთი ბიჯით ნაკლები;

12. სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ შესაძლებლობა გაქვთ მონაწილეობა მიიღოთ ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც არის მიმწოდებლის მიერ წინადადების ფასის შემცირების პროცედურა და მოიცავს ელექტრონული ვაჭრობის ძირითად დროსა და ელექტრონული ვაჭრობის დამატებით რაუნდებს;

13. ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი კლებადობის პრინციპის გათვალისწინებით შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ბიჯზე არანაკლები ოდენობით;

14. ბიჯი არის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში;

15. ძირითადი დროის დასრულების შემდეგ იწყება ვაჭრობის დამატებითი სამი რაუნდი. თითოეულ დამატებით რაუნდში ელექტრონული სისტემის მეშვეობით პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განსაზღვრულია ორი წუთი. ვაჭრობაში მონაწილეობა არ არის სავალდებულო. ასეთ შემთხვევაში ძალაში რჩება თქვენს მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი;

16. დამატებით რაუნდებში მონაწილე პრეტენდენტის მიერ ფასის ცვლა ხორციელდება რიგითობით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში პირველად შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა, მეორე და მესამე რაუნდში ის პრეტენდენტი, რომელმაც ამ რაუნდის დასაწყისისათვის ყველაზე მაღალი ფასი აქვს დაფიქსირებული. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ბოლომ დააფიქსირა ასეთი ფასი;

17. დამატებითი რაუნდების დასრულებისთანავე სისტემა აჯგუფებს პრეტენდენტებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით, რის შემდეგაც შემსყიდველი ორგანიზაცია ამოწმებს ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკურ დოკუმენტაციას. იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი;

18. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის წინადადებით (ასეთის მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში), რისთვისაც განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა;

19. თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაიარა შერჩევა-შეფასების ეტაპი შემსყიდველი ორგანიზაცია არაუადრეს 3 და არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ არაუადრეს 3 და არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა შემსყიდველი ორგანიზაცია დებს გამარჯვებულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას;

20. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს:

20.1 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში - „გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (ტენდერი გამოცხადებულია) დაწყების თარიღს, არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში „გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 დღისა;

20.2 ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში - „გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 2-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით (წინადადების მიღება დაწყებულია) გათვალისწინებული ეტაპის დაწყების თარიღს, არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში „შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 დღისა;

21. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტს განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 3 სამუშაო

დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და გავლენას მოახდენს ფასზე. ასეთ შემთხვევაში ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია;

22. წინამდებარე ინსტრუქციის 21-ე პუნქტში დასახელებული შემთხვევის გარდა, პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება ასევე, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენლობის ან ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში.

23. წინამდებარე ინსტრუქციის 21-ე და 22-ე პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება ასევე შემდეგ შემთხვევებში:

23.1 თუ პრეტენდენტი უარს განაცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;

23.2 თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში;

23.3 პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას;

23.4 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

24. ინსტრუქციის 21-23 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პრეტენდენტის დისკვალიფიკაციისას შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ უკანასკნელის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს;

25. სატენდერო კომისია უფლებამოსილია შეწყვიტოს ტენდერის პროცედურა შემდეგ შემთხვევებში:

25.1 ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას;

25.2 ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

25.3 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

26. შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რის საფუძველზედაც მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება, აგრეთვე არ ანაზღაურებს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯებს;

27. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, პრეტენდენტს ელექტრონული გარანტია დაუბრუნდება „შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპების შემდეგ;

28. პრეტენდენტს ელექტრონული გარანტია არ დაუბრუნდება შემდეგ შემთხვევებში:

28.1 თუ პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

28.2 თუ პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;

28.3 თუ პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში.

28.4 თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით პრეტენდენტი ჩაიდენს არაკეთილსინდისიერი ქმედებას.

29. ხელშეკრულების პროექტი მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის ექვემდებარება დაზუსტებას სატენდერო წინადადების შესაბამისად;

30. ტენდერთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტაციის ან ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიალურად დამოწმებული ქართული თარგმანი. უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის დავის არსებობის შემთხვევაში, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია;

31. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ნებისმიერი დოკუმენტი და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ;

32. სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორის (სუბკონტრაქტორების) არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა აიტვირთოს პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორებს (სუბკონტრაქტორებს) შორის გაფორმებული ხელშეკრულება (ხელშეკრულებები);

33. თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვანერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმუღავნებია ან/და არ გაუმუღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავცვანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.